ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5076220

ნომერი: AR1765909

თარიღი : 04.08.2020

გაცემის თარიღი : 24.08.2020

გაცნობის თარიღი : 20.10.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი ლილო;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ადილ პირიევი პ/ნ 28001048472
- საქართველო, მარნეული, ყოფილი მეკარტოფილეობის მეურნეობა

ორგანიზაცია:

- შპს Mar-mot კოდი: 434159947

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 3 აგვისტოს №5040785 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 4 აგვისტოს №AR1765909 განცხადებით მომართა ადილ პირიევმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020 წლის 3 აგვისტოს №5040785 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 3 აგვისტოს №5040785 გადაწყვეტილებით დადასტურდა, ქ. თბილისში, დიდი ლილო, №81.08.16.426 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, №1 შენობის ფასადის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოების (გაბარიტების უცვლელად) შესაძლებლობა.

წინამდებარე განცხადებით განმცხადებელი ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას სამსახურის 2020 წლის 3 აგვისტოს №5040785 გადაწყვეტილებაში, კერძოდ მიუთითებს, რომ გადაწყვეტილებაში განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოები მიეთითა არასწორად, „№1 შენობის ფასადის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოების (გაბარიტების უცვლელად)" ნაცვლად დაფიქსირდა „№1 შენობის სახურავის მასალის ცვლილება ქანობისა და კეხის უცვლელად".

დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ 2020 წლის 26 ივლისის №AR1762619 განცხადებით სამსახურს მომართა ადილ პირიევმა და მოითხოვა ქ. თბილისში, დიდი ლილო, №81.08.16.426 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე №1 შენობის ფასადის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოების (გაბარიტების უცვლელად) შესაძლებლობის დადასტურება. სამსახურის 2020 წლის 3 აგვისტოს №5040785 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა განმცხადებლის მოთხოვნა, თუმცა ტექნიკური შეცდომის შედეგად სარეზოლუციო ნაწილში არასწორად მიეთითა განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 3 აგვისტოს №5040785 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 3 აგვისტოს №5040785 გადაწყვეტილებაში და განსახორციელებელ სამშენებლო სამუშაოებად „შენობა №1 სახურავის მასალის ცვლილებას ქანობისა და კეხის უცვლელად" ნაცვლად დაფიქსირდეს „№1 შენობის ფასადის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები (გაბარიტების უცვლელად)".
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 3 აგვისტოს №5040785 გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 3 აგვისტოს №5040785 გადაწყვეტილებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.